ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/59 გადაწყვეტილება**
დანართი N 1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
21.10.2022 , N07-01/45 და
12.02.2024, N07-01/20)

ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) ბიუჯეტის შედგენის წესი (შემდგომში - ,,წესი“) შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N 1106 ბრძანების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების წესებს, აგრეთვე, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, ადმინისტრაციას, ძირითად საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

3. უნივერსიტეტის ბიუჯეტის სტრუქტურა მოცემულია წინამდებარე წესის დანართ N1-ში.

4. უნივერსიტეტი ბიუჯეტს შეიმუშავებს პროგრამული ბიუჯეტის ფორმით. შესაბამისად, უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტს დაერთვება პროგრამული ბიუჯეტის დანართი (წინამდებარე წესის დანართი N2-ით დადგენილი ფორმით), სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია.

5. უნივერსიტეტის ბიუჯეტს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების და წინამდებარე წესის შესაბამისად განიხილავს და ამტკიცებს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო.

6. აკადემიური საბჭო მონაწილეობს ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცების და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხების წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში.

7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) **პროგრამა** – ბსუ-ს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ბ) **ქვეპროგრამა** – პროგრამა შეიძლება დაყოფილი იყოს ქვეპროგრამებად. ქვეპროგრამა არის კონკრეტული მიმართულების ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ძირითად მიზნად ისახავს პროგრამის შუალედური შედეგის მიღწევას.

გ) **ღონისძიება** – ღონისძიება არის შედარებით მცირე მასშტაბის მქონე აქტივობა ქვეპროგრამის ფარგლებში, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს ქვეპროგრამის განხორციელებას და შესაბამისი შედეგების მიღწევას.

დ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outcome)** – წარმოადგენს პროგრამების შედეგს, ის შინაარსით გლობალურია. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს.

ე) **მოსალოდნელი შუალედური შედეგი (output)** – წარმოადგენს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმული ნაბიჯების შედეგებს და ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

ვ) **შესრულების შეფასების ინდიკატორი** – შედეგის მიღწევა გამოსახული გაზომვად (რაოდენობრივ ან/და ხარისხობრივ) მაჩვენებლებში, განსაზღვრავს პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელების ეფექტიანობას.

ზ) **ასიგნება** – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

თ) **ბიუჯეტის განწერა** – ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველთვიურად ან/და ყოველკვარტალურად განაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით;

ი) **განმახორციელებელი** - ბსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (შემდეგში - ,,ფაკულტეტი“), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (შემდეგში - ,,ინსტიტუტი“), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ,,ცენტრი“) ან უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი ღონისძიების განხორციელებაზე. ღონისძიებების ნაწილისთვის განმახორციელებელი ერთი სტრუქტურული ერთეული იქნება, თუმცა, შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში განმახორციელებელი იყოს რამდენიმე მათგანი.

კ) **საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი** – ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეული, დაკისრებული ფუნქციების და უფლება-მოვალეობების შესაბამისად პასუხისმგებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წინამდებარე წესის მიხედვით უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულების მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობაზე, ბიუჯეტის შესრულების წლიური და კვარტალური ანგარიშების შედგენაზე.

მუხლი 3. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია

1. პროგრამა წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

2. პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე.

3. პროგრამები თავისი შინაარსით არის გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომელთა ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგის მიღწევა შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში (ბსუ-ს მართვის ორგანოს რეგულაციის შესაბამისად 1 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების გეგმა-გრაფიკის/ბიუჯეტით მომდევნო წლისათვის გაწერილი ხარჯები გაითვალისწინება შესაბამისი წლის ბოლოს, უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში). *(ცვლილება - 12.02.2024, N07-01/20)*

4. უნივერსიტეტის ბიუჯეტში მოცემული უნდა იყოს თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანი, რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

5. პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურება საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, ბსუ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამას უნდა ჰქონდეს მიზანი და ბიუჯეტი.

6. **პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:**

ა) მართვის და რეგულირების - პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული მხარდაჭერის ან/და ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებისაა და ხელს უწყობს უნივერსიტეტის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან;
ბ) ინფრასტრუქტურული/კაპიტალური - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება უნივერსიტეტის სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას;
გ) ფაკულტეტების, ინსტიტუტების და ცენტრის მხარდაჭერის - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება ფაკულტეტების, ინსტიტუტების და ცენტრის ფუნქციების შესრულებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების მართვას;

დ) სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება ბსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების, სტუდენტური ინიციატივების და პროექტების მხარდაჭერას.

7. პროგრამების გამოკვეთის შემდეგ შესაძლებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად **ანუ ქვეპროგრამებად.**

7.1. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იმავე ტიპებად, როგორც პროგრამები.

7.2. ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას.

7.3. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

7.4. უნივერსიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ქვეპროგრამის დაფინანსების მოცულობა, აღწერა, მიზანი, შედეგი და მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები.

7.5. მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა შესაძლოა, თავის მხრივ, კიდევ იშლებოდეს ღონისძიებებად.

8. **შუალედური და საბოლოო შედეგები:**

8.1. პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის, ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება.

8.2. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები. საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითადახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა, ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზეა მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

8.3. შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს. შესაბამისად, საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისათვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის.

8.4. განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც. საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული).

8.5. შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

8.6. პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

8.7. შუალედური და საბოლოო შედეგების სწორად და ნათლად ჩამოყალიბება იძლევა შესაძლებლობას სწორად და მარტივად შეფასდეს მიღწეული შედეგები, გამოიკვეთოს და გაანალიზდეს მიზეზები დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის განსხვავებების არსებობის შემთხვევაში.

9. **შესრულების შეფასების ინდიკატორები**

9.1. პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებლი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს.

9.2. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

ა) **კონკრეტული** - ნათელი და ადვილად აღსაქმელი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება;

ბ) **გაზომვადი** - შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგის შეფასება;

გ) **მიღწევადი** - შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება და არ უნდა მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტადპესიმისტური შეფასება;

დ) **შესაბამისი** - ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური;

ე) **დროში გაწერილი** - უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

ვ) შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

ზ) რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;

თ) ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

ი) ხარჯზე მიბმული ინდიკატორები აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

კ) ეფექტიანობის (effectiveness) ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

ლ) პროდუქტიულობის (efficiency) ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების კლასიფიკაცია

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსავლების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც მტკიცდება კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი წესით.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებია ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული დაფინანსების წყაროებიდან მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა.

3. უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებია (ხარჯებია) უნივერსიტეტისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაცია ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

5. პროგრამული ბიუჯეტის შესაბამისობას საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი, ხოლო საბიუჯეტო განწერას ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენას უზრუნველყოფს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტი, რომელიც ყოველი წლის 1 ივლისიდან იწყებს მუშაობას დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთთანამშრომლობით და მათ მონაცემებზე დაყრდნობით.

3. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არაუგვიანეს ყოველი წლის 20 სექტემბრისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ უნივერსიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში გასაწევი ხარჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას (საბიუჯეტო განაცხადს);

4. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხარჯები უნდა ეყრდნობოდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელ დანახარჯებს.

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტი ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ადგენს მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს.

6. ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ზღვრული ოდენობა (შესაძლებლობის შემთხვევაში), განისაზღვრება გასული საბიუჯეტო წლის შესრულების შედეგების ანალიზის, მიმდინარე საბიუჯეტო წლის მოსალოდნელი შემოსავლების, ხარჯების, ფინანსურ, არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისა და ვალდებულებების საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით და უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის 31 ოქტომბრისა.

8. აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო ყოველი კალენდარული წლის არაუგვიანეს 15 ნოემბრისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტთან და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით არა უგვიანეს 01 დეკემბრისა ხელმეორედ წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

10. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს წარმომადგენლობითი საბჭო კენჭს უყრის არაუგვიანეს დეკემბრის მეორე პარასკევისა. უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ბსუ–ს წესდებით დადგენილი წესით.

11. თუ წარმომადგენლობითი საბჭო დეკემბრის მეორე პარასკევის ჩათვლით ვერ დაამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან შეთანხმებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყრება კენჭი არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

12. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, მის დამტკიცებამდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ყოველთვიურად განკარგოს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

მუხლი 6. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა

1. დამტკიცებულ ბიუჯეტის პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილებაში ცვლილებების შეტანა, გარდა ამ მუხლის მე–5, მე-6 და მე-7

ქვეპუნქტებით დადგენილი წესისა , საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

2. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტისთვის დართული მასალები უნდა შეიცავდეს ცვლილებების შინაარსის ამსახველ ინფორმაციას.

3. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხს წარმომადგენლობითი საბჭო კენჭს უყრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ცვლილებების შესახებ პროექტის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

4. თუ წარმომადგენლობითი საბჭო ვერ მიიღებს ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას, შესაძლებელია ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის იმავე ვარიანტს ან აკადემიურ და წარმომადგენლობითი საბჭოებთან შეთანხმებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია სათანადო ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტით შეიტანოს ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში, რა დროსაც პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 2%-ს.

6. უნივერსიტეტის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით ან/და ადმინისტრაციული ორგანოდან (სახელმწიფო ბიუჯეტიდან/ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან) დამატებითი დაფინანსების მიღების შემთხვევაში, ასეთი დაფინანსება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯვით ნაწილში აისახება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით, რომელიც ეგზავნება ბსუ-ს მართვის ორგანოებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ქვეყნდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

7. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების/ხარჯების ქვემუხლებს შორის თანხების შიდა ცვლილება არ განიხილება დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანად და იგი ხორციელდება შესყიდვების გეგმაში ცვლილების განხორციელებით ან/და უფლებამოსილი პირის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

მუხლი 7. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური და კვარტალური ანგარიშის შედგენაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს კვარტლის დასრულებიდან 30 დღის ვადაში. ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს წარმომადგენლობითი საბჭო და აკადემიური საბჭო იღებს ცნობის სახით.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშთან (შემდგომში -

წლიური ანგარიში) ერთად, არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 01 აპრილისა. *(ცვლილება - 12.02.2024, N07-01/20)*

4. წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე. წლიური ანგარიშის განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს აკადემიური საბჭო.
5. თუ წარმომადგენლობითი საბჭო არ დაამტკიცებს წლიურ ანგარიშს, აღნიშნულ საკითხს 30 დღის ვადაში ხელახლა ეყრება კენჭი. წლიური ანგარიშის ხელახლა (განმეორებით) განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს აკადემიური საბჭო.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ წლიური ანგარიშის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება *(დამატება - 21.10.2022, N07-01/45)*

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს არაუგვიანეს 2022 წლის 01 დეკემბრისა.
2. აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო არაუგვიანეს 2022 წლის 10 დეკემბრისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტთან და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით არა უგვიანეს 2022 წლის 15 დეკემბრისა ხელმეორედ წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს წარმომადგენლობითი საბჭო კენჭს უყრის არაუგვიანეს 2022 წლის 25 დეკემბერისა. უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ბსუ–ს წესდებით დადგენილი წესით.
5. თუ წარმომადგენლობითი საბჭო 2022 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით ვერ დაამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან შეთანხმებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყრება კენჭი არა უგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.
6. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, მის დამტკიცებამდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ყოველთვიურად განკარგოს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/59 გადაწყვეტილების
დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ----- წლის ბიუჯეტი

შემოსავლები წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით	

ხარჯები	

მათ შორის:

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				**სულ თანხა**
	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					

სულ

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				**სულ თანხა**
	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					

სულ

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				**სულ თანხა**
	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					

სულ

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა
	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					
ქვეპროგრამა					

სულ

	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
სულ პროგრამების ჯამური ხარჯი	0	0	0	0	0

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/59 გადაწყვეტილების
დანართი N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის დასახელება -

პროგრამის მიზანი -

პროგრამის აღწერა -

პროგრამის განხორციელების პერიოდი						
ქვეპროგრამები:		**თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით**				
		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						

სულ

პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი:

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/59 გადაწყვეტილების

დანართი N2ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის დასახელება -

ქვეპროგრამის დასახელება -

ქვეპროგრამის მიზანი -

ქვეპროგრამის აღწერა -

ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული -

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი -

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

N	ღონისძიებების /ხარჯების დასახელება	თანხა	დაფინანსების წყარო				მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები
			საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები		
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								
13								
14								
15								

სულ